

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა აღმჭურველი აქტის ბათილად გამოცხადებასთან დაკავშირებით (საქმე №ბს-201-195 (კ-09)).

აღნიშნული ადმინისტრაციული საქმე ეხებოდა თ. ს-შვილის სარჩელს, რომლითაც მან თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის დადგენილების 25-ე პუნქტის ბათილად ცნობა მოითხოვა. თ. ს-შვილის განცხადებით, სადავო დადგენილების 25-ე პუნქტით ლ. ვ-შვილს დაუმაგრდა მოსარჩელის სახელზე, ... ქ. №2-ში რიცხული 2003 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან დაახლოებით 400 კვ.მ მიწის ფართი და სახლთმფლობელობის ნაწილი. მოსარჩელის განცხადებით, არაპირდაპირი მფლობელისათვის მიწის ნაკვეთის ნაწილის და სახლთმფლობელობის გადაცემით პირდაპირი და უშუალო ზიანი მიადგა მის უფლებებს და კანონიერ ინტერესებს.

საკასაციო სასამართლომ გაიზიარა სააპელაციო პალატის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის დადგენილების საფუძველზე ლ. ვ-შვილმა განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის ქმედება, მოიპოვა საკუთრების უფლება უძრავ ქონებაზე. თუმცა, საკასაციო სასამართლომ აქვე განმარტა, რომ საქმის არსებითი განხილვის გარეშე სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს არ წარმოადგენდა სადავო აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნაწილის საფუძველზე იურიდიული მნიშვნელობის მოქმედების განხორციელება – სახლთმფლობელობის საჯარო რეესტრში მოპასუხის სახელზე რეგისტრაცია, აღმჭურველი აქტის მიმართ აქტის აღრესატის მხრივ კანონიერი ნდობის არსებობა (სზაკ-ის 60<sup>1</sup> მუხ.).

საკასაციო სასამართლომ დაუსაბუთებელად მიიჩნია სააპელაციო სასამართლოს დასკვნა იმის შესახებ, რომ სადავო აქტის გაუქმება გამორიცხული იყო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 218-ე მუხლის მე-2 ნაწილის იმპერატიული დანაწესის გამო. ხსენებული ნორმის თანახმად „არ შეიძლება ამ კოდექსის ამოქმედებამდე გამოცემული ან დადასტურებული აღმჭურველი ადმინისტრაციული აქტის ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადება, თუ პირმა განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის რაიმე ქმედება ამ აქტის საფუძველზე, გარდა ამ კოდექსის მე-60 მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა“. საკასაციო პალატამ ჩათვალა, რომ სზაკ-ის 218-ე მუხლით კოდექსის ძალაში შესვლამდე გამოცემული ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობის წინაპირობების შეკვეცა არ გამორიცხავდა სასამართლოს მხრიდან სადავო აქტის მისი გამოცემის მომენტისათვის მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებისადმი შესაბამისობაზე მსჯელობის შესაძლებლობას.

საკასაციო პალატამ ასევე განმარტა, რომ ადმინისტრაციული აქტი, როგორც გენერალური მოწესრიგების, სამართლის ნორმის კონკრეტიზაციის და ინდივიდუალიზაციის აქტი, უნდა ემყარებოდეს სამართლებრივ საფუძველს მიუხედავად აქტის აღმჭურველი თუ ამკრძალავი ხასიათისა, რამდენადაც ერთი პირისათვის აღმჭურველი ხასიათის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შესაძლოა მესამე პირების უფლებების შეზღუდვა. საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ სადავო აქტი შეიცავდა როგორც აღმჭურველ, ასევე შემზღუდავ ნაწილს. უკანასკნელი კი ყოველთვის საჭიროებდა საკანონმდებლო საფუძველს. საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სზაკ-ის 218-ე მუხლის მოქმედება ვრცელდებოდა იმ შემთხვევებზე, როდესაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ ზღუდდავდა მესამე პირის უფლებებს და კანონიერ ინტერესებს, სწორედ ასეთი აქტების მიმართ ხსენებული მუხლი აღიქმებოდა ერთგვარ „ამნისტიად“ და სახელდობრ ასეთი აქტების მიმართ იყო მუხლში გათვალისწინებული საგამონაკლისო წესები.

უზენაესი სასამართლოს მოსაზრებით, სზაკ-ის 218-ე მუხლი არ ვრცელდებოდა ისეთი აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მიმართ, რომლებიც ზღუდდავდნენ მესამე პირების უფლებებს ან კანონიერ ინტერესებს, ანუ თუ სხვა პირთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა შეუძლებელი იყო მოცემული აღმჭურველი აქტის გაუქმების გარეშე.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სზაკ-ის 218-ე მუხლი ვერ იქნებოდა მიჩნეული სხვა პირთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების შეზღუდვის ნებართვად, ამგვარი მიდგომა მოკლებული იყო რაიმე სამართლებრივ საფუძვლებს, აშკარად უპირისპირებდა ხსენებულ ნორმას იერარქიით ზემდგომ, კერძოდ კონსტიტუციურ ნორმებს, ფაქტობრივად უტოლდებოდა სასამართლოს უფლებაზე უარის თქმას, რომელიც თავისი არსით ყველა სხვა უფლების გარანტიას წარმოადგენდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ თ. ს-შვილის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დააკმაყოფილა და საქმე ხელახლი განხილვისათვის გადასცა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

**ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა:**

ნუგზარ სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნინო ქადაგიძე, ლევან მურუსიძე

საქმის განხილვის ფორმა – ზეპირი მოსმენის გარეშე

კასატორი(მოსარჩელე) – თ. ს-შვილი

მოწინააღმდეგე მხარე (მოპასუხე) – ქ. თბილისის მერია

მესამე პირი – ლ. ვ-შვილი

გასაჩივრებული გადაწყვეტილება – თბილისის სააპელაციო სასამართლოს  
ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 26.09.08წ. განჩინება

დავის საგანი – ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი  
აქტის ნაწილის ბათილად ცნობა

**ა ღ წ ე რ ი ლ თ ბ ი თ ი      ნ ა წ ი ლ ი :**

თ. ს-შვილმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო  
სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე ქ. თბილისის  
მერიის, მესამე პირის – ლ. ვ-შვილის წინააღმდეგ. მოსარჩელემ ქ. თბილისის  
მუნიციპალიტეტის კაბინეტის 13.11.9 7წ. №22/17/1228 დადგენილების ბათილად  
ცნობა მოითხოვა. მოგვიანებით მოსარჩელემ დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა  
და მოითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 13.11.9 7წ.  
დადგენილების 25-ე პუნქტის ბათილად ცნობა. მოსარჩელემ მიუთითა, რომ ქ.  
თბილისში, ...ის ქ №2 სახლთმფლობელობა ირიცხებოდა მის სახელზე, რასაც  
მოპასუხეც არ უარყოფს, 13.11.9 7წ. სადავო დადგენილების 25-ე პუნქტში  
აღნიშნულია: „ლ. ვ-შვილს დაუმაგრდეს თ. ს-შვილის სახელზე ...ის ქ. №2-ში  
რიცხული 2003 კვერცხის ნაკვეთიდან დაახლოებით 400 კვერცხის ფართი  
და სახლთმფლობელობის ნაწილი....“. არაპირდაპირი მფლობელისათვის მიწის  
ნაკვეთის ნაწილის და სახლთმფლობელობის გადაცემით პირდაპირი და  
უშუალო ზიანი მიადგა მოსარჩელის უფლებებს და კანონიერ ინტერესებს.  
სადავო აქტი გამოცემულია სზაკ-ით გათვალისწინებული აქტის მომზადების და  
გამოცემის წესის დარღვევით, კერძოდ დარღვეულია სზაკ-ის მე-13, 75-ე, 95-ე,

96.1, 97-ე, 98-ე, 99-ე მუხლები, ქ.თბილისის მერია ვალდებული იყო შეეტყობინებია მოსარჩელისათვის ლ. ვ-შვილის მიერ შეტანილი განცხადების თაობაზე და ჩაება იგი დაინტერესებულ მხარედ ადმინისტრაციულ წარმოებაში, გამოეკვლია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება, დაეთვალიერებინა სახლთმფლობელობა, გაერკვია თუ რა სამართლებრივი საფუძვლებით ფლობდა ლ. ვ-შვილი თ. ს-შვილის სახელზე რიცხულ უძრავ ქონებას, გაეცნო თ. ს-შვილისათვის ადმინისტრაციული წარმოების მასალები, მოქადაგინა მისი, როგორც დაინტერესებული მხარის აზრი, გამოეთხოვა მტკიცებულებანი, შეეჯერებინა და შეეფასებინა არსებული გარემოებანი და მხოლოდ ამის საფუძველზე მოეხდინა გადაწყვეტილების მიღება. სადაც აქტის გამომცემმა ორგანომ არათუ არ შეასრულა ზემოაღნიშნული, არამედ არ გადაუგზავნა თ. ს-შვილს სადაც აქტი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 09.07.07წ. გადაწყვეტილებით თ. ს-შვილის სასარჩელო განცხადება არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 13.11.9 7წ. №22.17.1228 დადგენილების 25-ე პუნქტის საფუძველზე ლ. ვ-შვილს დაუმაგრდა თ. ს-შვილის სახელზე რიცხული, ...ის ქ. №2-ში მდებარე 2033 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან დაახლოებით 400 კვ.მ. მიწის ნაკვეთი ...ძის ქუჩის მხრიდან და დაუკანონდა ტექტიუროს მონაცემებით ლიტ „ა“ და ლიტ „ი“ სახლთმფლობელობის ნაწილი. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის საკადასტრო რუკის თანახმად ქ. თბილისში, ...ის ქ. №2<sup>ა</sup>-ს, მოსარგებლედ მითითებული იყო ლ. ვ-შვილი და ქონების საერთო ფართს შეადგენდა 533 კვ.მ.. ტექტიუროს არქივიდან მოპოვებული მიწის ნაკვეთისა და მასთან მყარად დაკავშირებული შენობა-ნაგებობების საინვენტარიზაციო გეგმის თანახმად, ლ. ვ-შვილი ფლობდა მიწის ნაკვეთს უფლების დამადასტურებელი საბუთით. უფლების დამადასტურებელ დოკუმენტად აღნიშნული იყო ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 13.11.9 7წ. №22.17.1228 დადგენილება და თანდართული პროექტები. თბილისის საქალაქო სასამართლომ მიუთითა სზაკ-ის 218-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებზე და განმარტა, რომ კანონმდებელმა კოდექსის ამოქმედებით, მის ძალაში შესვლამდე მიღებული და გამოცემული ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობის საკითხი სხვაგვარად განსაზღვრა და მისი ბათილად ცნობის წინაპირობები შეკვეცა, რაც განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიღებამდე არ არსებობდა ერთიანი ნორმა, რომელიც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებზე ერთიანი მოთხოვნების გავრცელება. სასამართლომ მიუთითა, რომ მოცემულ დავასთან მიმართებაში მესამე პირს სწორედ გასაჩივრებული 13.11.9 7წ. №22.17.1228 დადგენილების საფუძველზე მიეცა მიწის ნაკვეთი, რომლის საკუთრების უფლებით აღრიცხვა მან საჯარო რეესტრში მოახდინა ანუ რეალიზაცია გაუკეთა მისთვის ადმინისტრაციული

აქტით მინიჭებულ უფლებას. აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ ჩათვალა, რომ მოცემულ დაგასთან მიმართებაში სახეზე იყო კოდექსის 218-ე მუხლით გათვალისწინებული აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის თაობაზე აღძრულ სარჩელზე უარის თქმის კანონისმიერი წინაპირობა. სასამართლომ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციული ორგანოსათვის 1997 წელს გამოცემული აქტის მიმართ 1999 წელს მიღებული და 2000 წელს ამოქმედებული ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის კონკრეტული ნორმების გამოუყენებლობაზე მითითება უსაფუძვლო იყო, რადგან სადაც აქტის გამოცემისას არ არსებობდა კონკრეტული ნორმები, რომელთა დარღვევაზე შეძლებდა მოსარჩელე მითითებას. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა თ. ს-შვილმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 26.09.08წ. განჩინებით თ. ს-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 09.07.07წ. გადაწყვეტილება. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ ზაკ-ის 218-ე მუხლის მეორე ნაწილის იმპერატიული მოთხოვნის მიხედვით, არ შეიძლებოდა ამ კოდექსის მოქმედებამდე გამოცემული აღმჭურველი ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობა, თუ პირმა ამ აქტის საფუძველზე განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის მქონე რაიმე ქმედება, ხოლო ლ. ვ-შვილმა თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 13.11.97წ. №22.17.1228 დადგენილების საფუძველზე, განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის ქმედება, მოიპოვა საკუთრების უფლება უძრავ ქონებაზე. ამდენად, სადაც აქტის გაუქმება შეუძლებელი იყო ზაკ-ის 218-ე მუხლის მეორე ნაწილის იმპერატიულ მოთხოვნათა შესაბამისად.

აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა თ. ს-შვილმა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება მოითხოვა. კასატორმა აღნიშნა, რომ თბილისის მერიამ და ლ. ვ-შვილმა სასამართლოს ვერ წარუდგინეს მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდნენ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის კანონიერებას და ლ. ვ-შვილის მიერ მერიისათვის აღნიშნული მიწის ნაკვეთის კანონიერი მოთხოვნის საფუძვლებს. კასატორმა აგრეთვე მიუთითა, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერება დაკავშირებული უნდა ყოფილიყო აქტის შინაარსთან, აქტში ასახული კონკრეტული ურთიერთობების მოწესრიგება უნდა შეესაბამებოდეს მისი გამოცემის სამართლებრივ საფუძველს, წინააღმდეგობაში არ უნდა მოდიოდეს ქვეყანაში მოქმედ სამართლებრივ აქტებთან, არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს სამართლებრივი სახელმწიფოს არსე და ქვეყნის ძირითად კანონს – კონსტიტუციას. კასატორი თვლის, რომ სასამართლომ დაარღვია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-19 მუხლის მოთხოვნები, ასევე არასწორად გამოიყენა ზაკ-ის 218-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

სსკ-ის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე საკასაციო სასამართლომ საქმე განიხილა ზეპირი მოსმენის გარეშე.

საკასაციო პალატა საქმის მასალების შესწავლის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერებისა და თ. ს-შვილის საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 13.11.1997წ. №22.17.1228 დადგენილების 25-ე პუნქტის საფუძველზე ლ. ვ-შვილს დაუმაგრდა თ. ს-შვილის სახელზე ...ის ქ. №2-ში რიცხულ 2033 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან დაახლოებით 400 კვ.მ. მიწის ნაკვეთი ...ის ქუჩის მხრიდან და დაუკანონდა ტექტიუროს მონაცემებით ლიტ. „ა“ და „ი“ სახლთმფლობელობის ნაწილი. საქმეში დაცულია საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგეტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ გაცემული საკადასტრო რუკა, ქ.თბილისში ...ის ქ. №2-ზე, რომლის 533 კვ.მ. მოსარგებლედ მითითებულია ლ. ვ-შვილი. საინვენტარიზაციო გეგმის თანახმად ლ. ვ-შვილი ფლობს მიწის ნაკვეთს უფლების დამადასტურებელი საბუთის გარეშე. საქმეში დაცულია აგრეთვე ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომლის მიხედვითაც ლ. ვ-შვილის საკუთრებას წარმოადგენს ქ.თბილისში, ...ის ქ. №2-ში მდებარე მიწის ნაკვეთი და შენობა-ნაგებობები, ხოლო საკუთრების უფლების დამადასტურებელ იურიდიულ დოკუმენტად მითითებულია: სკ-ის 1513-ე მუხლი, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 13.11.1997წ. №22.17.1228 დადგენილება, ქ.თბილისის არქიტექტურისა და პერსპექტიული განვითარების საქმეთა დეპარტამენტის მიერ 17.12.1997წ. გაცემული მიწის ნაკვეთის გეგმა. ამდენად, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 13.11.1997წ. №22.17.1228 დადგენილების საფუძველზე ლ. ვ-შვილმა განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის ქმედება, მოიპოვა საკუთრების უფლება უძრავ ქონებაზე. ამასთანავე, დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს დასკვნა იმის შესახებ, რომ სადავო აქტის გაუქმება გამორიცხულია სზაკ-ის 218-ე მუხლის მეორე ნაწილის იმპერატიული დანაწესის გამო. ხსენებული ნორმის თანახმად „არ შეიძლება ამ კოდექსის ამოქმედებამდე გამოცემული ან დადასტურებული აღმჭურველი აღმინისტრაციული აქტის ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადება, თუ პირმა განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის რაიმე ქმედება ამ აქტის საფუძველზე, გარდა ამ კოდექსის მე-60 მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა“. საკასაციო პალატა თვლის, რომ სზაკ-ის 218-ე მუხლით კოდექსის ძალაში შესვლამდე გამოცემული აღმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობის წინაპირობების შეკვეცა არ გამორიცხავდა

სასამართლოს მხრიდან სადავო აქტის მისი გამოცემის მომენტისათვის მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებისადმი შესაბამისობაზე მსჯელობის შესაძლებლობას. აღნიშნულის საფუძველს არ იძლეოდა აგრეთვე სასამართლოს მითითება სზაკ-ის 218.2 მუხლის საგამონაკლისო შემთხვევების არ არსებობის შესახებ, მით უფრო, რომ გასაჩივრებული განჩინება არ შეიცავს რაიმე მსჯელობას საგამონაკლისო შემთხვევის - ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებასთან დაკავშირებით (სზაკ-ის 60.1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი), ხოლო სზაკ-ის 218 მუხლის მოქმედი რედაქცია ფაქტიურად აღარ შეიცავს საგამონაკლისო შემთხვევებს, ვინაიდან ხსენებული ნორმა არ ითვალისწინებს კოდექსში ბოლო პერიოდში შეტანილ ცვლილებებს, კერძოდ სზაკ-ის 218-ე მუხლი ამავე კოდექსის მე-60 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტს უთითებს, როგორც აქტის ბათილობის გამომრიცხავ გარემოებას, მაშინ, როდესაც აღნიშნული მუხლი სადღეისოდ ეხება აქტის არა ბათილობას, არამედ არარად გამოცხადების საფუძველს, კერძოდ სზაკ-ის მე-60.1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემისთანავე ითვლება არარად, თუ გამოცემულია არაუფლებამოსილი ორგანოს ან არაუფლებამოსილი პირის მიერ. მიუხედავად აღნიშნულისა, საკასაციო პალატა თვლის, რომ არ არსებოდა სზაკ-ის 218-ე მუხლის გამოყენების საფუძველი. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული აქტი, როგორც გენერალური მოწესრიგების, სამართლის ნორმის კონკრეტიზაციის და ინდივიდუალიზაციის აქტი, უნდა ემყარებოდეს სამართლებრივ საფუძველს მიუხედავად აქტის აღმჭურველი თუ ამკრძალავი ხასიათისა, რამდენადაც ერთი პირისათვის აღმჭურველი ხასიათის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შესაძლოა მესამე პირების უფლებების შეზღუდვა. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 13.11.1997წ. №22.17.1228 დადგენილების სადავო 25-ე პუნქტი ადგენს რა თ. ს-შვილის სახელზე ...ის ქ. №2-ში რიცხული ნაკვეთიდან დაახლოებით 400 კვ.მ. ნაკვეთის ლ. ვ-შვილის სახელზე დამაგრებას, მოსარჩევისათვის არის შემზღუდავი, ამკრძალავი, ვინაიდან ხსენებული აქტი თ. ს-შვილს ჩამოერთვა უფლება მიწის ნაკვეთზე და სახლთმფლობელობის ნაწილზე. ამდენად, სადავო აქტი შეიცავს როგორც აღმჭურველ, ასევე შემზღუდავ ნაწილს. უკანასკნელი ყოველთვის საჭიროებს საკანონმდებლო საფუძველს. შესაბამისად დავის საგანს შეადგენს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ორმაგი ზემოქმედების ძალით. ამ აქტის ამკრძალავი ნაწილის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა აქტის აღმჭურველი ნაწილის გამოცემა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სზაკ-ის 218-ე მუხლის მოქმედება ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ ზღუდავს მესამე პირის უფლებებს და კანონიერ ინტერესებს, სწორედ ასეთი აქტების მიმართ ხსენებული მუხლი აღიქმება ერთგვარ „ამნისტიად“ და სახელდობრ ასეთი აქტების მიმართ არის მუხლში გათვალისწინებული საგამონაკლისო წესები (სზაკ-ის 60.1 მუხლის „ა“

ქვეპუნქტი, 61.2 მუხლის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები). სზაკ-ის 218-ე მუხლი არ ვრცელდება ისეთი აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მიმართ, რომლებიც ზღუდავენ მესამე პირების უფლებებს ან კანონიერ ინტერესებს, ანუ თუ სხვა პირთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა შეუძლებელია მოცემული აღმჭურველი აქტის გაუქმების გარეშე. იმის გათვალისწინებით, რომ არ დაიშვება იურისდიქციის თვითნებური გადანაწილება სასამართლოებსა და ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის, საკასაციო პალატა თვლის, რომ სზაკ-ის 218-ე მუხლის მიხედვით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა არ საჭიროებს საკანონმდებლო საფუძველს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ის არ ზღუდავს სხვა პირის სამართლებრივ მდგომარეობას. საკასაციო პალატა თვლის, რომ სზაკ-ის 218-ე მუხლი ვერ იქნება მიჩნეული სხვა პირთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების შეზღუდვის ნებართვად, ამგვარი მიდგომა მოკლებულია რაიმე სამართლებრივ საფუძვლებს, აშკარად უპირისპირებს ხსენებულ ნორმას იერარქიით ზემდგომ, კერძოდ კონსტიტუციურ ნორმებს, ფაქტობრივად უტოლდება სასამართლოს უფლებაზე უარის თქმას, რომელიც თავისი არსით ყველა სხვა უფლების გარანტიას წარმოადგენს. სასამართლო ხელისუფლების ადგილს სახელმწიფო მოწყობის სისტემაში მნიშვნელოვანწილად განაპირობებს სასამართლო ხელისუფლების უფლებამოსილების მოცულობა, რომელზედაც არის დამოკიდებული უფლებებისა და ინტერესების დაცვის ფარგლები. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტით აღიარებული სასამართლო დაცვის უფლება ფორმალურად სასამართლოსათვის მიმართვის შესაძლებლობას ნიშნავს, ხოლო შინაარსობრივად-ადამიანის სამართლებრივ დაცვას უზრუნველყოფს, უკანასკნელი ნიშნავს ადმინისტრაციული ორგანოს ყველა იმ მოქმედების თუ გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრებას და სამართლებრივ შეფასებას, კანონიერების დადგენას, რომლებიც ეხება პირის უფლებებს ან კანონიერ ინტერესებს. აქტის კანონიერება უკავშირდება მის შინაარსს და მოთხოვს, რომ აქტში ასახული კონკრეტული ურთიერთობის მოწესრიგება შეესაბამებოდეს გამოცემის სამართლებრივ საფუძველს, ქვეყანაში მოქმედ ნორმატიულ აქტებს. საკასაციო პალატა თვლის, რომ სადაცო სამართალურთიერთობის მიმართ სზაკ-ის 218-ე მუხლის გამოყენება შეუძლებელი იყო სადაცო აქტით (მისი ნაწილით) მოსარჩელის უფლების ან კანონიერი ინტერესის შეზღუდვის გამორიცხვის გარეშე, რაც თავის მხრივ საჭიროებდა სადაცო მიწის ნაკვეთის, სახლთმფლობელობის კუთვნილების გარკვევას, აღნიშნული საქმის არსებითი განხილვის პირობებში იყო შესაძლებელი.

საქმის არსებითი განხილვის გარეშე სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს არ წარმოადგენდა სადაცო აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნაწილის – 13.11.1997წ. №22.17.1228 დადგენილების 25-ე პუნქტის საფუძველზე იურიდიული მნიშვნელობის მოქმედების განხორციელება – სახლთმფლობელობის საჯარო

რეესტრში მოპასუხის სახელზე სახლთმფლობელობის რეგისტრაცია, აღმჭურველი აქტის მიმართ აქტის ადრესატის მხრივ კანონიერი ნდობის არსებობა (სზაკ-ის 60<sup>1</sup> მუხ.). საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კანონიერი ნდობა შეიძლება არსებობდეს მხოლოდ იმ დაინტერესებული მხარის მიერ საკუთარი მოსაზრების წარდგენის შემთხვევაში, რომლის უფლებებსაც უშუალოდ ეხება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რაც მოცემულ შემთხვევაში არ დასტურდება. საქმეზე არ არის დადგენილი აგრეთვე სზაკ-ის მე-9 მუხლით გათვალისწინებული კანონიერი ნდობის გამომრიცხავი გარემოებების არ არსებობა. სზაკ-ის 60<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიერ სხვა პირის კანონიერი უფლებების ან ინტერესების დარღვევა წარმოადგენს აღმჭურველი აქტის ბათილად გამოცხადების წინაპირობას. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სადაც აღმჭურველი აქტის ბათილად გამოცხადების, სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების საკითხი უნდა გადაწყდეს სადაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მართლზომიერების, სადაც აქტის გამოცემისას კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვის, კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევის არსებობის შემთხვევაში დარღვევის ხარისხის შედარებით, აგრეთვე მმართველობის კანონიერების პრინციპისა და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობის პრინციპის, აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობით ადრესატისადმი მიყენებული ზიანის და ამ აქტის ბათილად გამოცხადებლობით მიყენებული ზიანის შეპირისპირებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საკასაციო სასამართლო თვლის, რომ დაუსაბუთებელია სზაკ-ის 218-ე მუხლის გამოყენების, სადაც აქტის კანონიერებაზე არსებითი მსჯელობის გარეშე სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სახეზეა სსკ-ის 392-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევა, სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება სამართლის ნორმების დარღვევით არის გამოტანილი, სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არასწორად განმარტა კანონი, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა. ვინაიდან სააპელაციო სასამართლო, შემოიფარგლა რა სზაკ-ის 218-ე მუხლზე მითითებით, არ იქონია მსჯელობა არსებითად სადაც აქტის კანონიერებაზე, არ დაუდგენია საქმის ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ ის თუ რა საფუძვლებით გადაეცა თ. ს-შვილის მფლობელობაში არსებული სახლთმფლობელობა ლ. ვ-შვილს, ვის და რა საფუძველზე ეკუთვნოდა აქტის გამოცემამდე სადაც სახლთმფლობელობა, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ არ არსებობს სსკ-ის 411-ე მუხლის შესაბამისად საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა, რის გამო სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე საკასაციო წესით გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახლი არსებითი განხილვისათვის უნდა დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს, რომელმაც სრულყოფილად უნდა დაადგინოს

საქმის ფაქტობრივი გარემოებები, იმსჯელოს აქტის კანონიერებაზე და საქმეზე მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება.

## ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ო ო      ნ ა წ ო ლ ი :

საკასაციო                  სასამართლომ                  იხელმძღვანელა                  საქართველოს  
ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით,  
საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 412-ე  
მუხლებით და

## დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. თ. ს-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 26.09.08წ. განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის გადაეცეს იმავე სასამართლოს;
2. სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თავმჯდომარე

ნ. სხირტლაძე

მოსამართლეები:

ნ. ქადაგიძე

ლ. მურუსიძე